სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

5. ჯავახიშვილის ქ.
ქუთაისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

02 / დეკემბერი / 2024 წ.

KA021751688764624

№ **13/69225**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭკადუაშის
საჯარო სკოლას

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დასავლეთ საქართველოს რეგიონულმა დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2024 წლის 02 დეკემბრის № MES 0 24 0001539623 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭკადუაშის საჯარო სკოლაში არსებული 94.97 კვ.მ. ფართის იჯარის ფორმით გაცემის შესახებ.

გაცნობებთ, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დასავლეთ საქართველოს რეგიონული დეპარტამენტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში არ არის წინააღმდეგი, აუქციონის წესით იჯარით გაიცეს თქვენს წერილში მითითებული ფართი იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნული ქონება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭკადუაშის საჯარო სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს კანონით დადგენილი წესით და იმ პირობით, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 (ორი) კვირის ვადაში გაუქმებული იქნება საიჯარო ხელშეკრულება, რაც უნდა წარმოადგენდეს სკოლის მიერ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების აუცილებელ პირობას.

ამასთან, სარგებლობის საფასური უნდა განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესი“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N570 დადგენილებით დამტკიცებული წესის მოთხოვნების შესაბამისად.

ამ პირობათა დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭკადუაშის საჯარო სკოლის მიერ დადებული იჯარის ხელშეკრულება განიხილება აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებად.

დასავლეთ საქართველოს რეგიონული
დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ვახტანგი ერემეიშვილი